

„ხალხის ძალა“ – „ქართული ოცნების“ მიერ ოპოზიციური ძალის ილუზიის შექმნის წარუმატებელი მცდელობა

2024 წლის 13 დეკემბერს „ხალხის ძალამ“, რომელიც „ქართული ოცნების“ ღიად ანტიევროპული წევრებითაა დაკომპლექტებული, [განცხადება](#) გააკეთა, რომლის მიხედვითაც, ისინი მმართველ გუნდს ტოვებენ და ამ ნაბიჯით „[ჯანსაღი ოპოზიციის](#)“ [არსებობას უდებენ სათავეს](#). „ხალხის ძალის“ ლიდერის გურამ მაჭარაშვილის განცხადებით, ქვეყანას ჰყავს „ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება“ და უცხოური ძალების მხრიდან დაფინანსებული ე.წ. რადიკალური ოპოზიცია; შესაბამისად, ხედავენ აუცილებლობას, დატოვონ მმართველი გუნდი და შექმნან „ჯანსაღი ოპოზიციური ძალა“. მაჭარაშვილმა დააზუსტა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ მათ გუნდს პრინციპული შეუთავსებლობა არ აქვს.

„ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი მიხეილ ყაველაშვილია, რომელიც 14 დეკემბერს [პარლამენტმა, რომლის ლეგიტიმურობა არ უღიარებია საერთაშორისო საზოგადოებას, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადა](#). საერთაშორისო მედიაში მიხეილ ყაველაშვილი და „ხალხის ძალა“ მოხსენიებულია, როგორც ულტრამემარჯვენე და ანტიდასავლური რიტორიკის [მქონე](#). „ხალხის ძალის“ ლიდერები ანტიდასავლურ განწყობებს არ მალავენ. მაგალითად, 2023 წლის 2 მარტს მიხეილ ყაველაშვილმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც, [ევროკავშირი](#) [ევროკავშირში გაწევრიანება] [ქვეყნის თვითმიზანი არ არის](#). ფსევდო-ოპოზიციური ძალის მიერ გაჟღერებული ანტიევროპული განცხადება 2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ გაიმეორა და განაცხადა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი 2028 წლამდე [შეჩერებულია](#).

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ხალხის ძალის“ [ხუთი წევრი¹ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის პირველივე ათეულში ფიგურირებდა](#), რაც ადასტურებს, რომ „ხალხის ძალა“ მმართველი გუნდის განაყოფია, მისი ცალკე პარტიად დარეგისტრირების მიზანი კი ფსევდო-ოპოზიციური ძალის ილუზიის გაჩენაა.

როგორ შეიქმნა პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის ძალა“?

2022 წლის 29 ივნისს „ქართული ოცნების“ წევრებმა სოზარ სუბარმა, დიმიტრი ხუნდაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადეს, რომ პარტია „ქართული ოცნებას“ და საპარლამენტო თანამდებობებს ტოვებდნენ. განცხადებაში უმრავლესობის დატოვების ერთადერთ მიზეზად

¹ სოზარ სუბარი, მიხეილ ყაველაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ეკა სეფიაშვილი და ვიქტორ ჯაფარიძე.

მითითებული იყო საზოგადოებისთვის ქართული პოლიტიკის კულისებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ბევრად მეტი ინფორმაცია მიწოდების საჭიროება. თუმცა ასევე აღნიშნული იყო, რომ დისტანცირებული დეპუტატები **რჩებოდნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად და მათი და „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და წევრების შეფასებები „სრულად“ ემთხვეოდა ერთმანეთს.** დემოკრატიის კვლევის ცენტრი ამის შესახებ ადრეც [წერდა](#).

2022 წლის 4 ოქტომბერს მოძრაობას საპარლამენტო უმრავლესობიდან ეკა სეფაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, დავით კაჭარავა, დაჩი ბერაია და ზაალ მიქელაძე [შეუერთდნენ](#).

„ხალხის ძალის“ პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმაცია

შექმნიდან თითქმის ორი წლის განმავლობაში „ხალხის ძალა“ პოლიტიკურ პარტიად არ იყო რეგისტრირებული. პოლიტიკურ პარტიად მისი ტრანსფორმირება მხოლოდ 2024 წლის 22 მარტს მოხდა, როდესაც „ხალხის ძალა“ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში პოლიტიკურ პარტიად [დარეგისტრირდა](#).

პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ შემოწირულებები

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა შეისწავლა პოლიტიკურ პარტია „ხალხის ძალის“ მიერ მიღებული შემოწირულებები. კვლევა 2024 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

პირველი შემოწირულება ილუზორულად ფსევდო-ოპოზიციურმა ძალამ 2024 წლის 11 აპრილს [მიიღო](#). ამჟამინდელი მონაცემების მიხედვით, „ხალხის ძალამ“ თერთმეტი შემოწირულება მიიღო რვა ფიზიკური პირისგან. შემოწირულების სახით მიღებული, ოფიციალურად დეკლარირებული თანხის ჯამი **148.750 ლარია**.

პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის ძალის“ შემოწირულებები თვეების მიხედვით:

თვეები	შეწირული თანხა
აპრილი	70.000
მაისი	18.000
ივნისი	0
ივლისი	22.000
აგვისტო	0
სექტემბერი	13.000
ოქტომბერი	15.750
ნოემბერი	10.000

ვინ არიან პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ შემომწირველები?

დემოკრატიის კვლევის ცენტმა შეისწავლა „ხალხის ძალის“ თითოეული შემომწირველი. ყველაზე მსხვილი შემომწირველი ვიქტორ ჯაფარიძეა. მის მიერ „ხალხის ძალისთვის“ შეწირული **თანხის** ჯამი **38.000 ლარია**. ჯაფარიძის სახელზე რამდენიმე კომპანიაა რეგისტრირებული, მათ შორის **„შპს სეტი+“**. **მოცემულმა კომპანიამ 2012 წლიდან დღემდე 81 მილიონი ლარის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოცხადებული ტენდერები მოიგო**. ჯაფარიძე ასევე არის პროპაგანდისტული და ღიად სახელისუფლებო მედიასაშუალება POSTV (**„შპს კოსტვის“**) 52%-იანი წილის მფლობელი. ვიქტორ ჯაფარიძის სახელი და გვარი ასევე ფიგურირებს მმართველი გუნდის შემომწირველებს შორის. მან პარტიას **120.000 ლარი** შესწირა.²

ფსევდო-ოპოზიციური პარტიის შემომწირველთა სიაში ასევე იძებნება გურამ მაჭარაშვილის სახელი და გვარი. მაჭარაშვილი მმართველი გუნდის და „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერია. მას პარტიისთვის **1.000 ლარი** აქვს **შეწირული**. იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრში მაჭარაშვილი **„შპს გლობალექსის“** ერთ-ერთ ხელმძღვანელადაა რეგისტრირებული. კომპანიის ერთ-ერთი მეწილის **გიორგი ნოზაძის სახელი და გვარი მმართველი გუნდის შემომწირველთა სიაშიც ფიგურირებს**. ნოზაძეს „ქართული ოცნებისთვის“ **41.000 ლარი** აქვს **შეწირული**.

„ხალხი ძალის“ შემომწირველებს შორისაა ბიზნესმენი ზაზა ბაღდავაძე. **ბაღდავაძეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, თანხა აქვს შეწირული როგორც „ქართული ოცნებისთვის“, ასევე „ხალხის ძალისთვისაც“**. „ქართული ოცნებისთვის“ შეწირული თანხის ჯამი **40.000 ლარია**, ხოლო „ხალხის ძალისთვის“ - **13.000 ლარი**. ბაღდავაძე სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიის **„შპს ევროცემენტის“** მფლობელია. კიდევ ერთი პირი, რომელმაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თანხა **„ქართულ ოცნებას“ და „ხალხის ძალას“ შეწირა, ბექა ბაღდავაძეა**. „ქართული ოცნებისთვის“ შეწირული თანხის ჯამი **20.000 ლარია**, ხოლო ფსევდო-ოპოზიციური ძალისთვის - **13.000 ლარი**.

² ბოლო შემოწირულება 2017 წელს განხორციელდა.